CCA
ამაგი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის

დირექტორის ბრძანება N10

2020 წლის25 თებერვალი

ქალაქი გორი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისიის დამტკიცების შესახებ

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის 2020 წლის 20 თებერვლის N08 ბრძანებით შემქნილი მისიის, სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის 2020 წლის 20 თებერვლის და 2020 წლის 25 თებერვლის სხდომის ოქმების გათვალისწინებით დაშპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის წესდებისსაფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდესშპს საზოგადოებრივიკოლეჯი ამაგის მისია თანადართული N1 დანართის შესაბამისად;
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი რუსუდან სუხიშვილი

LTD "COMMUNITY COLLEGE AMAGI" GEORGIA, GORI
* 417878130 *

მისია:

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მისიაა მოამზადოს ჯანდაცვის და ვეტერინარიის სფეროში კვალიფიციური და მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან როგორც შიდა ქართლის რეგიონის, ასევე საქართველოს და საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს უწყვეტი განათლების სისტემას, პროფესიული სტუდენტებისთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს მათ საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას.

ხედვა:

2027 წლისათვის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი უზრუნველმყოფს პროფესიული განათლების მიმართულებით მაღალკვალიფიციურ და შრომის ბაზრზე მოთხოვნად კადრების მომზადებას. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება:

- ჯანდაცვისა და ვეტერინარიის სფეროში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება;
- სამუშაოს მაძიებლებისა და დასაქმებულთათვის მაღალი ხარისხის მომზადების, გადამზადების, სტაჟირების სასერთიფიკატო პროგრამების შეთავაზება.

ღირებულებები:

- ✓ გუნდურობა - გუნდურ მუშაობაზე ორიენტირებული ჯგუფი;
- ✓ მოქნილობა - გამოწვევების ეფექტური მართვა;
- ✓ ხარისხზე ორიენტირება - ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე მოთხოვნილი ხარისხი;
- ✓ თანამშრომლობა - ღიაა თანამშრომლობა დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან;
- ✓ გამჭვირვალობა - ღია და საჯარო მიდგომები კოლეჯში მიმდინარე ყველა პროცესში;
- ✓ სამართლიანობა - კოლეჯში მიღებული გადაწყვეტილებები, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს;
- ✓ სოციალური პასუხიმგებლობა - კოლეჯი ითვალისწინებს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებს, პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაში.